



4673/3-2/21 2 24052021

4673/3-2/21

24-05-2021

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს

ქალბატონ

ეკატერინე ტიკარაძეს

საქართველოს პარლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ მომაწოდოთ შესაბამის კითხვებზე სრულყოფილი ინფორმაცია:

1. ვაქცინაციის ეროვნული გეგმის მიხედვით, წლის ბოლომდე უნდა აიცრას სულ ცოტა 1 700 000 ადამიანი, რაც არის ზრდასრული მოსახლეობის 60%, რაც ნიშნავს წლის ბოლომდე სულ მცირე 3 400 000 ვაქცინის დოზის შემოტანას და ადმინისტრირებას. დარჩა არასრული 8 თვე. იძლევიტ თუ არა გარანტიას, რომ თქვენი უწყება წლის ბოლომდე უზრუნველყოფს ამ რაოდენობის ვაქცინის შემოტანას და ადმინისტრირებას? არსებობს თუ არა გაწერილი გეგმა-გრაფიკი ვაქცინათა სახეობების და რაოდენობის შემოტანის კუთხით და ვინ იღებს ამ პროცესზე პასუხისმგებლობას?
2. კვლავ პრობლემურია ჯანდაცვაში პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა, რაც აუცილებელია პაციენტთა დროული გადამისამართების და თავისუფალი საწოლ-ფონდის დროულად მოძიებისათვის. მუდმივად გაუმართავი მოქალაქეების ვაქცინაზე დარეგისტრირების პორტალი. თავისუფალი საწოლი ადგილების მოძიების ტვირთი ისევ პაციენტზე და მის პატრონზეა, ჯანდაცვის სამინისტროს ცხელ ხაზს არ გააჩნია პროგრამული ბაზა თუ სად რამდენი თავისუფალი ადგილია და შესაბამისად ვერ ეხმარება პაციენტებს. რამდენად სწორია რომ თავისუფალი ადგილების მოძიების პასუხისმგებლობას ვაკისრებთ პაციენტს და მის პატრონს? რა უშლის ხელს მსგავსი პროგრამული უზრუნველყოფის სისტემის დანერგვას, რომ გვეკონტროლებინა თავისუფალი საწოლ- ფონდის ხელმისაწვდომობა ქალაქების და რეგიონების მიხედვით და რატომაა მუდმივად გაუმართავი ვაქცინაზე რეგისტრაციის პორტალი?

პარლამენტის წევრი
თეონა აქუზარდია



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

**Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories,
Labour, Health and Social Affairs of Georgia**



KA030159588339321

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/9022

21 / ივნისი / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ თონა აქუბარდიას

ქალბატონო თონა,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განიხილა თქვენი N4673/3-2/21 წერილი, რომელიც შეეხება COVID-19-ის წინააღმდეგ ვაქცინაციას და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, კომპეტენციის ფარგლებში, გიგზავნით მოთხოვნილ ინფორმაციას.

1. 2021 წლის 21 იანვრის N67 დადგენილებით დამტკიცებული "საქართველოში COVID-19-ის ვაქცინის დანერგვის ეროვნული გეგმის" მიხედვით, წლის ბოლომდე დაგეგმილია მოზრდილი მოსახლეობის 60%-ის ვაქცინაცია.


COVAX პლატფორმის ფარგლებში 13 მარტს შემოვიდა ასტრაზენეკას წარმოების 43,200 ვაქცინა, 24 მარტს Pfizer-ის წარმოების 29,250 ვაქცინა, 3 აპრილს ქვეყანამ მიიღო ჩინური წარმოების სინოფარმის 100,000 დოზა ვაქცინა, ხოლო 30 აპრილს დონაციის სახით სინოვაკის 100,000 დოზა. 6 მაისს ქვეყანამ კვლავ მიიღო 43,000 დოზა ასტრაზენეკას ვაქცინა COVAX პლატფორმის ფარგლებში და 26 მაისს კი 1170 დოზა Pfizer-ის წარმოების ვაქცინა. ივნისის ბოლოს კვლავ დაგეგმილია 43,000 ასტრაზენეკას წარმოების ვაქცინის მიღება (COVAX პლატფორმა). ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები სხვადასხვა მწარმოებელთან და ევროკავშირის ქვეყნებთან ვაქცინების დამატებითი დოზების მიღებასთან დაკავშირებით. ვაქცინაცია მიმდინარეობს 135 დანესებულებაში (72 სტაციონარი და 63 პჯდ დანესებულება) 184 ბრიგადის მეშვეობით. 21 ივნისის მდგომარეობით, ქვეყანაში ჯამურად ჩატარებულია 234,410 აცრა, სრულად ვაქცინირებულია 82,189 პირი.

2. სამინისტროს გააჩნია სპეციალური ელექტრონული სისტემა, რომლის მეშვეობითაც COVID-19 მობილიზებული სამედიცინო დანესებულებები დღეში ორჯერ აწვდიან სამინისტროს ინფორმაციას მათი საწოლფონდის მდგომარეობის შესახებ, რაც პაციენტთა ნაკადების მართვისთვის წარმოადგენს მეტად ღირებულ ინსტრუმენტს. ზემოაღნიშნული ელექტრონული სისტემის ფუნქციონირება რეგულირდება „საქართველოში ახალი კორონა ვირუსით (SARS-CoV-2) გამონვეული ინფექციის (COVID-19) შესაძლო შემთხვევების გავრცელების (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) პრევენციისა და საეჭვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირების მზადყოფნისათვის, სამედიცინო დანესებულებების მობილიზების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 19 სექტემბრის №01-467/ო ბრძანებით.

ამავდროულად, მთლიანი ქვეყნის მასშტაბით მობილიზებულ სამედიცინო დანესებულებებში არსებული სამედიცინო საწოლების რაოდენობათა შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია სპეციალურად შექმნილ ვებ-გვერდზეც - DATACOV.MOH.GOV.GE.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე



თამარ გაბუნია

